

ეკოტურიზმის განვითარება და დაცული ტერიტორიები

radioway.ge/programs/radiocaffe/item/969-radiokape-ekoturizmis-ganvitareba-da-dazuli-teritoriebi



პანკისის ხეობის 15 სოფელში მოსახლეობის ბოლო, 2014 წლის აღწერით, 6 738 ადამიანი ცხოვრობს. ხეობის მოსახლეობის 60 %-ზე მეტი სოციალურად დაუცველი და საარსებო შემწეობის მიმღებია. ხეობა მცირემიწიანია, რის გამოც არ არის განვითარებული სოფლის მეურნეობა, მდინარის ორივე ნაპირას სოფლებია და დანარჩენი ტყეს, დაცულ ტერიტორიებს უკავია. პანკისს ესაზღვრება ილტოს ხეობა, სადაც ასევე მძიმეა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. ხეობის 7 სოფლიდან 2 უკვე ნასოფლარია, 5 სოფელში კი მხოლოდ 100-მდე ადამიანი ცხოვრობს.

სწორედ დაცული ტერიტორიებია მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, რამაც პანკისის ხეობაში ხელი შეუწყო ტურიზმის განვითარებას. პანკისში ჩამოსული ქართველი და უცხოელი ვიზიტორების ყურადღებას ხადორის ჩანჩქერი, ქოჩადალას, ლამაზურის ხეობები და ნასოფლარი ტბათანა იქცევს. პანკისის ხეობაშია ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი, სადაც უთხოვარის ტყის თითქმის 270 ჰა-იანი კორომებია შემორჩენილი. უთხოვარის ასეთი დიდი ზომის კორომებს მსოფლიოში ანალოგი არ აქვს, თუმცა ბაწარას ნაკრძალში შესვლა მხოლოდ საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევებისა და მონიტორინგის მიზნით არის ნებადართული.

გადაცემაზე მუშაობისას ჩვენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემებიც მოვიძიეთ. საქართველოში დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიღებულმა შემოსავალმა 2018 წელს 6 435 774 ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მონაცემებთან შედარებით 12%-ით მეტია. 2018 წლის განმავლობაში 2017 წლის მონაცემებთან შედარებით დაცული ტერიტორიების მიმდებარედ საოჯახო სასტუმროების რაოდენობა გაზრდილია 37%-ით, მაღაზიების რაოდენობა 20%-ით, კვების ობიექტების რაოდენობა 16%-ით.

როგორ შეიძლება პანკისისა და ილტოს ხეობებში ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა დაცული ტერიტორიების გამოყენებით; როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ ადგილობრივი თემი უფრო მეტად იყოს ჩართული დაცული ტერიტორიების მართვაში? დღეისათვის - საქართველოში სხვადასხვა კატეგორიის 87 დაცული ტერიტორიაა, საიდანაც 86-ს მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო. მხოლოდ თუშეთის დაცულ ლანდშაფტს მართავს ახმეტის მერია ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის მეშვეობით“. ადგილობრივი თემი არცერთი დაცული ტერიტორიის მართვაში არ არის ჩართული. როგორია ამ მხრივ ევროპული პრაქტიკა და რისი გაზიარება შეგვიძლია.

გადაცემის სტუმრები არიან:

ლეილა აჭიშვილი - პანკისის სოფელ ჯოყოლოში მდებარე საოჯახო სასტუმროს მეპატრონე;

იზა ბექაური - ილტოს ხეობის სოფელ საბუეში მდებარე საოჯახო სასტუმროს მეპატრონე;

ირაკლი მაჭარაშვილი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ კონსერვაციის პროგრამის კოორდინატორი;

ნატალია ბახტაძე - საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის კონსულტანტი;

ნატო სულთანაშვილი - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი;

გადაცემის წამყვანია **ლუიზა მუთოშვილი** - სამოქალაქო აქტივისტი, პედაგოგი, პანკისის სათემო ორგანიზაციის თავმჯდომარე;

თავში 